

## განმარტებითი ბარათი

### „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე”

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადება განაპირობა ლატარიების სფეროში ტენდერების ჩატარების ორგანიზების ეფექტურობის გაზრდის აუცილებლობამ, სახელმწიფო ინტერესების დაცვის ზრდის აუცილებლობამ, ტენდერში მონაწილე კანდიდატთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის მექანიზმის სრულყოფამ.

ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „...ტენდერში გამარჯვებულად განისაზღვრება ის პირი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდებით გათვალისწინებული სპორტისა და კულტურის განვითარებისათვის განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის გადაიხდის ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას, მაგრამ არანაკლებ რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების 20 პროცენტისა.“

ასევე ტენდერში გამარჯვებული პირი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის ოდენობის 25 პროცენტი მიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 75 პროცენტი მიმართოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდებით გათვალისწინებული სპორტისა და კულტურის განვითარებისათვის განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის.

სწორედ ბიუჯეტში მიმართული ამ თანხების სწორად მართვისა და სპორტისა და კულტურის განვითარებაში მათი პირდაპირ მიმართვის მიზნით მომზადდა წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები, რომლის თანახმად იზრდება ტენდერის ჩატარებაზე და ბიუჯეტში შემოსულ თანხებზე კონტროლის მექანიზმი სახელმწიფოს მხრიდან.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ტენდერის მონაწილეთა და სახელმწიფო ინტერესების დაცვა, ტენდერის ჩატარების ორგანიზების ეფექტურობის გაზრდა, ბიუჯეტში შემოსული თანხების სწორად მართვა და მიზნობრივი ხარჯვა, საქართველოში სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა. ვინაიდან და რადგანაც ყველა სხვა აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწყობი პირების კონტროლს ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც აგრეთვე არის ამ სახის თამაშობების მოწყობისათვის საჭირო ნებართვების გამცემი ორგანო, უპრიანი იქნებოდა მისთვის ტენდერის ჩატარების უფლებამოსილების გადაცემა, რითაც მოხდება სათამაშო ბიზნესის კონტროლის ფუნქციების ერთი უწყების ქვეშ გაერთიანება. აღნიშნული ცვლილებებით მოხდება ტენდერში გამარჯვებული პირების მიერ გადასახდელი თანხების ცენტრალიზება და სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირება თუმცა, როგორც ზემოთ არის უკვე აღნიშნული, ამ თანხების დანიშნულება არ იცვლება და ამ თანხის 75 პროცენტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ გამოეყოფა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს. ანუ ცვლილება მიზნად არ ისახავს ტენდერში გამარჯვებული პირების მიერ გადახდილი თანხის დანიშნულების

შეცვლას, არამედ ამ თანხის აღრიცხვისა და განაწილების პროცესის გამარტივებას.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტის თანახმად „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შედის ცვლილებები, რომლებიც ტენდერის ჩატარების უფლებამოსილებას ანიჭებს ფინანსთა სამინისტროს, აგრეთვე უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული პირების მიერ გადასახდელი თანხის თავმოყრას სახელმწიფო ბიუჯეტში და ბიუჯეტიდან მის დანაწილებას განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად. ტენდერის ჩატარების უფლებამოსილების ფინანსთა სამინისტროსათვის გადაცემა, უფუნქციოდ ტოვებს არაკომერციულ იურიდიულ პირს (ეროვნული ლატარიის ფონდი) ამიტომ კანონპროექტი აგრეთვე განსაზღვრავს მის ლიკვიდაციას. კანონს ემატება ნორმა რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულ პირებს ლატარიის ჩატარების უფლებას ანიჭებს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენამდე.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტი არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ასეთის დაწესებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლების სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი შეესაბამება ევროკავშირის რეკომენდაციებში ასახულ მოთხოვნებს და არ ეწინააღმდეგება მის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი – პავლე კუბლაშვილი